



საქართველოს ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის
სამსახურის უფროსს
ქალბატონ ლელა ჯანაშვილს

ქალბატონო ლელა,

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის წერილზე 2024 წლის 13 აგვისტოს N0 24 00014477 გაცემული პასუხიდან გამომდინარე, განმეორებით მოგმართავთ, “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის 49-ე მუხლის “ა” ქვეპუნქტის და 53-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე.

უპირველეს ყოვლისა, გვსურს განვმარტოთ, რომ “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის 49-ე მუხლის “ა” ქვეპუნქტის თანახმად, “პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური ახორციელებს საქართველოში მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლს. ამ სფეროში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ა. მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციის გაწევა...” კანონის აღნიშნული დანაწესი ვრცელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობაზე სწორედ მონაცემთა დაცვის სფეროში. ამავე კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, “პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური ვალდებულია შესაბამისი თხოვნის არსებობის შემთხვევაში კონსულტაცია გაუწიოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, მუნიციპალიტეტის ორგანოებს, სხვა საჯარო დაწესებულებებს, კერძო სამართლის იურიდიულ პირებს და ფიზიკურ პირებს მონაცემთა დამუშავებასა და დაცვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე.” ამასთან, კონსულტაციის გაწევისას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური არ არის შეზღუდული მხოლოდ “პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონთან” მონაცემების დამუშავების შესაბამისობის შესახებ კონსულტაციის გაწევის ვალდებულებით.


ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, გაუწიოთ კონსულტაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრ 180 არაკომერციულ იურიდიულ პირს შემდეგ საკითხებზე:

1. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2024 წლის 1 აგვისტოს N1019 ბრძანებით დამტკიცებული „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრის წარმოების, საფინანსო დეკლარაციის წარდგენისა და მონიტორინგის წესის“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ფორმის დანართებით N1.1. – 1.12. მოთხოვნილი პერსონალური მონაცემების შევსებით ორგანიზაციები დაარღვევენ თუ არა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 და მერ მუხლებით გათვალისწინებულ წესებს.
2. ხსენებულ საფინანსო დეკლარაციაში პერსონალური მონაცემების შეყვანით, რაც შემდგომ ექვემდებარება საჯაროდ განთავსებას, შესაბამისი სუბიექტები დაარღვევენ თუ არა „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

გთხოვთ, მხედველობაში მიიღოთ სუბიექტების მიერ საფინანსო დეკლარაციის შევსებისთვის კანონით დადგენილი შემჭიდროვებული ვადები და კითხვებზე პასუხი მოგვაწოდოთ დაუყოვნებლივ.

პატივისცემით,

ნინო ჩხოზაძე



აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის თანათავმჯდომარე